საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-10/144

ქ. ბათუმი 18 ნოემბერი, 2022 წ.

ბსუ-ს მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე "ქართული ენა უცხოელთათვის" სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების, ამავე ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს 2022 წლის 12 მაისის №20-19/03 სხდომის ოქმის, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ენა უცხოელთათვის“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 ნოემბრის №01-02/260 ბრძანების, ამავე ცენტრის მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორის, ასოცირებულ პროფესორ ქეთევან შოთაძის 2022 წლის 17 ნოემბრის სამსახურებრივი ბარათის (№1472114) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე **,,ქართული ენა უცხოელთათვის“** (სულ 600 საკონტაქტო საათი) სწავლის საფასური **1 მსმენელისათვის განისაზღვროს 2000 აშშ დოლარის შესაბამისი ეკვივალენტი ლარში. (არანაკლებ 8 და არაუმეტეს 12 მსმენელის შემადგენლობა ჯგუფში).**
2. დამტკიცდეს პროგრამის **,,ქართული ენა უცხოელთათვის“ ხარჯთაღრიცხვა და შრომის ანაზღაურება** დანართი 1-ის **(9 მსმენელზე გაანგარიშებით) და** დანართი 2-ის **(8 მსმენელზე გაანგარიშებით)** შესაბამისად.
3. პროგრამის „ქართული ენა უცხოელთათვის“ პერსონალის შრომის ანაზღაურება **(9 მსმენელზე გაანგარიშებით)** განისაზღვროს:

3.1. პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალის 1 (ერთი) შრომის საათის ღირებულება განისაზღვროს 23 ლარით;

3.2. დამხმარე პერსონალის (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორი) 1(ერთი) საათის შრომის ღირებულება - 20 ლარით;

3.3. დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით - ასისტენტი სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით) 1(ერთი) საათის შრომის ღირებულება - 20 ლარით;

4. პროგრამის „ქართული ენა უცხოელთათვის“ პერსონალის (**8 მსმენელზე გაანგარიშებით)** შრომის ანაზღაურება განისაზღვროს:

4.1. პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალის 1 (ერთი) შრომის საათის ღირებულება განისაზღვროს 22 ლარით;

4.2. დამხმარე პერსონალის (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორი) 1(ერთი) საათის შრომის ღირებულება - 18 ლარით;

4.3. დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით - ასისტენტი სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით) 1(ერთი) საათის შრომის ღირებულება - 17 ლარით;

5. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 9 ნოემბრის №01-10/140 ბრძანება 2022 წლის 17 ნოემბრიდან.

6. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

7. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს რექტორს, რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საქმისწარმოების სამსახურს (კნცელარია), ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მ. დიასამიძე

„ბსუ-ს მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე „ქართული ენა უცხოელთათვის“ სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 18 ნოემბრის № 01-10/144 ბრძანების დანართი 1

მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული ენა უცხოელთათვის“ ხარჯთაღრიცხვა (9 მსმენელზე პირისპირ სწავლების ფორმატით)

1.	ხარჯთაღრიცხვა (9 მსმენელზე პირისპირ სწავლების ფორმატით)	
1.1.	**მსმენელთა რაოდენობა - არანაკლებ 9**	
1.2.	სწავლის საფასური ერთ მსმენელზე	**2 000 აშშ დოლარი (კურსი 2,7754; 01.11.2022 წლის მდგომარეობით)**
1.3.	სულ შემოსავალი	**9X2000$=18 000 აშშ დოლარი (49 957.20 ლარი)**
2.	**ხარჯები**	
2.1.	შესრულებული სამუშაო საათების რაოდენობა	**1000 საათი**
2.2.	პერსონალის შრომის ანაზღაურება, მათ შორის	**21 800 ლარი**
2.2.1.	პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი	**13 800 ლარი**
2.2.2.	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორი)	**6000 ლარი**
2.2.3.	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით - ასისტენტი სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით)	**2000 ლარი**
3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივაციასთან დაკავშირებული ხარჯი	**4400 ლარი**
4.	არაპირდაპირი დანახარჯები (პროგრამის განხორციელებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები, შემოსავლის 40%)	**19982.88 ლარი**
5.	სულ ხარჯები	**46182.88 ლარი**
6.	მოგება	**3774.32 ლარი**

პროგრამის საკონტაქტო საათების განაწილება და შრომის ანაზღაურება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალზე

	პროგრამის განმახორციელებელი და დამხმარე პერსონალი	**საკონტაქტო საათი**	**1 სთ-ის ანაზღაურება (ლარი)**	**საერთო შრომის ანაზღაურება (ლარი)**
1.	პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი (მოწვეული მასწავლებლები)-	600	23	13800 ლარი
	პროგრამის დამხმარე პერსონალი			
1.	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორი)	300	20	6000 ლარი
2	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით - ასისტენტი სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით)	100	20	2000 ლარი
			სულ	21 800 ლარი

„ბსუ-ს მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე „ქართული ენა უცხოელთათვის“ სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 18 ნოემბრის № 01-10/144 ბრძანების

დანართი 2

მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული ენა უცხოელთათვის“ ხარჯთაღრიცხვა (8 მსმენელზე პირისპირ სწავლების ფორმატით)

1.	ხარჯთაღრიცხვა (8 მსმენელზე პირისპირ სწავლების ფორმატით)	
1.1.	**მსმენელთა რაოდენობა - 8**	
1.2	სწავლის საფასური ერთ მსმენელზე	2 000 აშშ დოლარი (კურსი 2,7754; 01.11.2022 წლის მდგომარეობით)
1.3	სულ შემოსავალი	8X2000$=16000 აშშ დოლარი (44.406.4 ლარი)
2.	**ხარჯები**	
2.1.	შესრულებული სამუშაო საათების რაოდენობა	900 საათი
2.2	პერსონალის შრომის ანაზღაურება, მათ შორის	18 500 ლარი
2.2.1.	პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი	13 200 ლარი
2.2.2	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორი)	3600 ლარი
2.2.3.	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით - ასისტენტი სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით)	1700 ლარი
3.	პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალის მოტივაციასთან დაკავშირებული ხარჯი	3500 ლარი
4.	არაპირდაპირი დანახარჯები (პროგრამის განხორციელებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები, შემოსავლის 40 %)	17762,56 ლარი
5.	სულ ხარჯები	39762,56 ლარი
6.	მოგება	4643.84 ლარი

პროგრამის საკონტაქტო საათების განაწილება და შრომის ანაზღაურება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალზე

	პროგრამის განმახორციელებელი და დამხმარე პერსონალი	**საკონტაქტო საათი**	**1 სთ-ის ანაზღაურება (ლარი)**	**საერთო შრომის ანაზღაურება (ლარი)**
1.	პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი (მოწვეული მასწავლებლები)-	600	22	13200 ლარი
	პროგრამის დამხმარე პერსონალი			
1.	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორი)	200	18	3600 ლარი
2.	დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით - ასისტენტი სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით)	100	17	1700 ლარი
			სულ	18 500 ლარი

„